ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1207

ქ.თელავი 20 დეკემბერი 2010 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის ვასილ დავითაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **კავშირი „ალტერ ეგო“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **საახალწლო გამოფენისათვის თექის სუვენირის მიწოდება.**
დაფინანსების წყარო- ადგილობრივი ბიუჯეტი.
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება **გამარტივებული შესყიდვის** მეთოდით. საფუძველი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №6/3-83

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ **საახალწლო გამოფენისათვის თექის სუვენირი** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების ვადებია: **2010 წ. 20 დეკემბრიდან, 2010 წ. 31 დეკემბრამდე.**
3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: **ქ. თელავი, ერეკლე II №16**

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2.შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია :
– გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი;
– მიიღოს ნაყიდი ქონება.
5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
– გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **150 (ასორმოცდაათი) ლარი.**

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში**

7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) **საქონლის მიღების შემდეგ.**

7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: **სასაქონლო ზედნადები ან ა/ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.**

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **2010 წლის 31 დეკემბრამდე.**

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

11.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს.კ. 231280093
თელავი, ერეკლე II №16

„მიმწოდებელი“

კავშირი „ალტერ ეგო“
თიბისი ბანკი თელავის ფილიალი
კოდი 220101824
ა/№ GE42TB0900003602012484

ს/კ 231248646
ქ.თელავი რუსთაველის ქ. №11

„შემსყიდველი“ _____

„მიმწოდებელი“ _____